დაფინანსების წყაროები და მათი მოპოვების საშუალებები და სირთულეები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საქართველოს მაგალითზე

თეა მახარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ მეგუთნიშვილი,
მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თეა მახარაშვილი, 2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემაა საქართველოში არსებული დაფინანსების წყაროები, მათი მოპოვების საშუალებები და სირთულეები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი დაფინანების წყაროების მიმოხილვა საქართველოში, მათი მოპოვებისას გამოვლენილი სირთულეების გამოყოფა და პრობლემის გადაჭრის მთავარი გზების ძიება. მიზნიდან გამომდინარე, საკვლევი საკითხები მოიცავს შემდეგს: საფინანსო სექტორის განვითარებულობის დონის განსაზღვრა და დაფინანსების არსებული წყაროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმაციულობის განსაზღვრა, დაფინანსების მოპოვების ძირითადი პრობლემების წარმოჩენა და აღნიშნული კატეგორიის კომპანიებისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გზების ძიება. მეთოდოლოგია ეფუძნება როგორც არსებული ლიტერატურის მასალების მიმოხილვას/კვლევას, ასევე შერეული მეთოდით (რაოდენობრივი და თვისებრივი) სატელეფონო გამოკითხის საფუძველზე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ინტერვიუს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ფინანსური სექტორი კარგად არ არის განვითარებული, მეწარმეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ დაფინანსების სხვადასხვა წყაროების შესახებ, სახელმწიფო სუბსიდირების მექანიზმი არ არის საკმარისი და ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს სხვადასხვა ბიზნეს სექტორის მხარდაჭერას. ასევე, ფინანსური ინფორმაციის, დოკუმენტაციის ხარისხი ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია

დაკრედიტებისას და შედეგად იძლევა დროში მოუქნელ პროცესს. ბოლოს, საბანკო სექტორში დაფინანსებისას გამოვლენილი პრობლემები მოიცავს, ასევე, სესხის პირობებს: მაღალი უზრუნველყოფის მოთხოვნა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, პირადი თავდებობის მოთხოვნა და ხელშეკრულების სხვა პერსონიფიცირებული დეტალები, რომელიც ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო რესურსებზე წვდომას. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარების გზების შემოთავაზებისთვის, ხოლო დაფინანსების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნებას ლიტერატურის მიმოხილვის ანალიზი და ბიზნესმენთა შეფასებაც ცხადყოფს. იმისთვის, რომ დაკრედიტება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის აუცილებელია დაფინანსების გზების მრავალფეროვანი საშუალებების არსებობა, სახელმწიფოს ჩართულობა, როგორც ფინანსური ბაზრების განვითარებისთვის, ასევე სუბსიდირებისა და საგარანტიო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, ამასთანავე, აუცილებელია ფინანსური აღრიცხვიანობის დონის ამაღლება და სასესხო პირობების მორგება ბიზნესისთვის, რაც შერბილებულ გირაოს მოთხოვნას, მიმზიდველ საპროცენტო განაკვეთებსა და სხვა პირობებს გულისხმობს. არნიშნული გზების დანერგვით, დაფინანსება უფრო ხელმისაწვდომი გახდება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც მათ განვითარებას, საბოლოო ჯამში კი, ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, დაფინანსების წყაროები, დაფინანსების ხელმისაწვდომობა.

Abstract

Main topic of research is source of funding, means and difficulties of obtaining funding for Small and Medium Enterprises (SME) in Georgia. The purpose of study is to review the sources of financing available for small and medium enterprises in Georgia, to identify the difficulties in obtaining it and to find main ways to solve the problem. Depending on the purpose, the research issues include: determining the level of the financial sector development and obtaining information on existing sources of funding, determining the informative level of small and medium sized business representatives, identifying the main problems in obtaining funding and finding ways to simplify access to funding for these categories companies. The methodology is based on review/research of existing literature and materials, as well as interviews with small and medium sized business's representatives based on mixed method (quantitative and qualitative) telephone survey. The results of study show, that the financial sector in Georgia is not well developed, businesspersons have less information about different sources of funding, the state subsidy mechanism is not enough and cannot fully support different sector business. In addition, the quality of financial information and documentation remains one of the main problems which is hindering factor in lending and as a result gives an inflexible process over time. Finally, problems identified with financing in banking sector includes: high collateral requirements, high interest rates, personal guarantee requirements, and other personalized contract details, that restrict access to credit resources for small and medium sized business. The results of research are important for suggesting ways

to solve the problem, while the importance of access to funding are also highlighted with literature review analysis and evaluation by business representatives. In order to make lending more accessible for Small and Medium Enterprises, it is necessary to have a variety of ways of financing, state involvement in the development of financing markets, as well as increasing access to subsidies and grant programs. Moreover, it is necessary to raise the level of financial accounting and adjust loan terms for business, which includes soften collateral requirements, attractive interest rate and other terms. Whit the introduction of these ways financing will become more accessible to Small and Medium Enterprises, which will contribute to their development and ultimately to economic progress.

Key Words: Small and Medium Enterprises, source of funding, access on funding.